



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზღვის ღორი



ზღვის ღორი (*Phocoena phocoena*), წყლის ძუძუმწოვარი ცხოველი დელფინების ქვეოჯახისა. გავრცელებულია ჩრდ. ატლანტიკასა და წყნარი ოკეანის ჩრდ. ნაწილში. საქართველოში გვხვდება შავი ზღვის სანაპირო ზონაში. შავი ზღვის სახეობა ზომით ყველაზე პატარაა. მისი სხეულის სიგრძე 1-1,8 მ, მასა 30-80 კგ აღწევს. სხვა დელფინებისაგან განსხვავებით დედალი მამალზე დიდია. ზ.

ღ-ს აქვს ბლავგი დინგი, ოდნავ წამოწეული ქვედა ტუჩი, შედარებით დაბალი ზურგის ფარფლი. სხეულის ზედა მხარე და ფარფლები თითქმის შავია, ქვედა - ღია ფერისაა, თეთრიდან მუქ ნაცრისფრამდე. იკვებება თევზებით. საკვების ძებნისას ყვინთავს 50-75 მ სიღრმეზე არა უმეტეს 6 წუთისა, ჩვეულებრივ კი ღრმად არ ჩადის. ცხოვრობენ ჯოგებად, რ-შიც 2-10 ინდივიდია. მაკეობა 9-10 თვეს გრძელდება. შობს ერთ ნაშიერს, რ-ის სხეულის სიგრძე 70-75 სმ აღწევს. მნიშვნელოვანი სარეწაო ობიექტი იყო. ქონისაგან ამზადებდნენ სამკურნალო პრეპარატ დელფინოლს და ტეჟ. ცხიმებს. 1965-იდან მისი რენვა აკრძალულია.

რ. წერეთელი
